ჭავჭავაძის
ცენტრი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის შედეგები საქართველოში

გიორგი ხარებავა
გიორგი ჯოხაძე
გია ჯაფარიძე
ნინო კალანდაძე

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის შედეგები საქართველოში

© ა(ა)იპ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი, 2021

ავტორები: გიორგი ხარებავა, გიორგი ჯოხაძე, გია ჯაფარიძე, ნინო კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

რედაქტორი: მარინა ჟღენტი

კვლევა მომზადდა საგრანტო პროექტის ფარგლებში „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“ კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით. პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის ცენტრი, ასევე, მადლობას უხდის საქართველოს უნივერსიტეტს.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

Konrad Adenauer Stiftung

დამკაბადონებელი: თათია ქვლივიძე

გარეკანის დიზაინი: თათია ქვლივიძე

დაბეჭდილია საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში

საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

სარჩევი

ლიტერატურის მიმოხილვა 5
მეთოდოლოგია 11
შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გავლენა პარტიების მიმართ ნდობის შემცირებაზე 12
შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გავლენა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე საქართველოში.....22
პოლიტიკური ლიდერების მიმართ ნდობის შემცირება და ელიტების ჩანაცვლების პრობლემა საქართველოში..... 34
დასკვნა 41
გამოყენებული ლიტერატურა 43

ზოგადი მიმოხილვა

ჭავჭავაძის ცენტრმა, საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის შესწავლის მიმართულებით, აქამდე ორი კვლევა ჩაატარა, რომლის ფარგლებშიც შეფასდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დონე, გამოიკვეთა შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტი და დადგინდა აღნიშნული დეფიციტის გამომწვევი მიზეზები.

წინამდებარე ნაშრომი შიდაპარტიული დემოკრატიის კვლევის მიმართულებით ჭავჭავაძის ცენტრის მესამე კვლევას წარმოადგენს, რომელიც საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის შედეგების დადგენის მცდელობაა. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პასუხის გაცემა ძირითად საკვლევ კითხვაზე – რა შედეგებს იწვევს შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტი საქართველოში?

კვლევამ დაადგინა, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს გავლენა აქვს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური ლიდერებისა და, ზოგადად, პოლიტიკური პროცესების მიმართ მოქალაქეთა ნდობის შემცირება, ასევე, პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაკარგვა. ამომრჩეველში პოლიტიკური პარტიებით იმედგაცრუებითა და მათი მონაწილეობით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ ნიჰილიზმის ზრდით, ასევე პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტით, გარკვეულწილად აიხსნება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაციაც.

ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ნაწილში არსებული პოლიტიკური ნიჰილიზმი ასევე ხელს უწყობს ქვეყნიდან „ტვინების გადინებას“ და ემიგრაციას, ასახვას ჰპოვებს შიდა და გარე ინვესტიციებზე, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. თუმცა, აღნიშნული ორი საკითხი უფრო სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს და ამ კონკრეტული კვლევის საგანი არ გამხდარა.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიის საკითხებზე მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიებისთვის პოლიტიკურ პარტიებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. როგორც ბალსერა აღნიშნავს, პოლიტიკური პარტიები ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა სახელმწიფო მმართველობა, პოლიტიკის შემუშავება, ინტერესთა წარმომადგენლობითობა და ელიტების დაკომპლექტება (Balcere/ბალსერა, 2017. გვ. 50). პოლიტიკური პარტიების პირველი თაობის მკვლევრები, როგორებიც იყვნენ დუვერჟერი, შატშნაიდერი და უილსონი, აღიარებდნენ, რომ პარტიათა შორის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენცია დემოკრატიას ასაზრდოებდა, თუმცა, ამავდროულად მიაჩნდათ, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის მიღწევა შეუძლებელი იყო და მის არარსებობას ქვეყნის დემოკრატიულობაზე უარყოფითი გავლენა ვერ ექნებოდა. უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში აღნიშნული შეხედულების მიმართ კრიტიკა დაგროვდა და შიდაპარტიული დემოკრატიის საჭიროებებზეც გამახვილდა ყურადღება.

შიდაპარტიული დემოკრატიის მნიშვნელობა კარგად ჩანს ჰაზანისა და რაჰატის დაკვირვებიდან. ავტორთა აზრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის მქონე ქვეყნებში, საარჩევნო სიის სათავეში მოქცეული კანდიდატებისთვის, არჩევნების შედეგის მიუხედავად, საპარლამენტო მანდატის მოპოვება გარანტირებულია, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე გვაქვს ძირითადი პარტიების მიერ წარდგენილ საარჩევნო სიებთან (Hazan & Rahat/ ჰაზანი & რაჰატი, 2010. გვ. 11). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პარტიათა შიგნით კანდიდატების შერჩევის პროცესი, ზოგ შემთხვევაში, არჩევნებზე მეტადაც კი განაპირობებს კონკრეტული პოლიტიკოსების მიერ საპარლამენტო მანდატის მოპოვების საკითხს.

შიდაპარტიული დემოკრატიის მნიშვნელობაზე საუბრისას იგნაზი ხაზს უსვამს, რომ დემოკრატია პარტიათა შორის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის შედეგად მიიღება, მაგრამ ამავდროულად, აღნიშნავს, რომ პარტიათა შიდა წესები და გამოყენებული პრაქტიკები პოლიტიკური სისტემისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს.

ამგვარად, პოლიტიკური სისტემის მუშაობისა და მისი ლეგიტიმაციისთვის შიდაპარტიული დემოკრატია ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხია (Ignazi/ იგნაზი, 2018. გვ.5).

შიდაპარტიული დემოკრატიის მომხრეთა პოზიციების განხილვისას სქეროუ აღნიშნავს, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის მქონე პარტიებს უფრო მეტად შეუძლიათ უნარიანი და მიმზიდველი ლიდერების შერჩევა, ადეკვატური პოლიტიკის შეთავაზება და არჩევნებზე უფრო დიდი წარმატების მიღწევა (Scarrow/ სქეროუ, 2005, გვ. 3).

გაუიას მოსაზრებით, პარტიათა მიერ პოლიტიკის ფორმულირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა პარტიის ლეგიტიმაციასთან ერთად მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის კავშირის უზრუნველყოფასაც ეხმარება (Gauja/ გაუია, 2013, გვ. 16).

მერსელი გამოყოფს რამდენიმე ფაქტორს, თუ რატომ არის შიდაპარტიული დემოკრატია მნიშვნელოვანი და რა პრობლემების გამოწვევა შეუძლია მის არარსებობას. მერსელის აზრით: 1) შიდაპარტიულ დემოკრატიას გავლენა აქვს წარმომადგენლობითობასა და თანამონაწილეობაზე, პოლიტიკური პარტიები დემოკრატიის ძირითად და მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და თუ მოქალაქეები დემოკრატიებში თავისუფლები და თანასწორები არიან, ისინი იმავე უფლებებით უნდა იყვნენ აღჭურვილი პოლიტიკურ პარტიებშიც. ამასთანავე შიდაპარტიული დემოკრატია იდეოლოგიურ საკითხებსა და პოლიტიკაზე მუშაობისას საზოგადოების მაღალ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს; 2) შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტმა შესაძლოა პარტიების მიერ პოლიტიკური საქმიანობისას ზოგადად დემოკრატიული პრინციპების (რასაც თავად ავტორი „გარე დემოკრატიას“ უწოდებს) უგულვებელყოფას შეუწყოს ხელი; 3) პარტიული ლიდერების ხელში მთელი ძალაუფლების კონცენტრაცია და მათ მიერ საკუთარი პარტიების წევრების კონტროლი შესაძლოა პარტიის საზღვრებს გასცდეს და უფრო ფართო საზოგადოებაზე გავრცელდეს; 4) მონიტორინგის საკითხი – პარტიის შიგნით დემოკრატიული მექანიზმების არსებობა მონიტორინგისა და ლიდერების კონტროლისთვის კრიტიკულად აუცილებელია. შიდაპარტიული დემოკრატიის გარეშე,

როცა პარტიის წევრები ფრაქციების თავისუფლად ჩამოყალიბებასა და გაწევრიანებაში შეზღუდულები არიან, გამჭვირვალობასთან დაკავშირებით პრობლემები ჩნდება (Mersel/მერსელი, 2006. გვ. 96-97)

შიდაპარტიული დემოკრატიის სიკეთეებზე საუბრისას ქროსი და კაცი აღნიშნავენ, რომ ის, შესაძლოა, პოლიტიკურ ლიდერებს საკუთარი მხარდამჭერებისა და საზოგადოების სურვილების უკეთ გაგებაში დაეხმაროს (Cross & Katz/ქროსი & კაცი, 2013. გვ. 171).

პოლიტიკურ პარტიებში კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევა პოლიტიკურ ველზე ელიტების ცვლილების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. როგორც ფილდი და სიაველისი აღნიშნავენ, კანდიდატების შერჩევა პოლიტიკური რეკრუტირების პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია (Field & Siavelis/ფილდი & სიაველისი, 2008. გვ. 621). პოლიტიკურ პარტიებში ლიდერთა რგოლის ცვლილებებს არამხოლოდ კონკრეტულ პარტიულ ორგანიზაციაზე შეუძლია გავლენის მოხდენა, არამედ მას უფრო მასშტაბური ხასიათის შედეგები შეიძლება მოყვეს. ენსერ-იედენასტიკისა და მიულერის მიხედვით, პარტიის ხელმძღვანელობაში ცვლილებები ამომრჩევლებს, სხვა პარტიებს, ეკონომიკასა და პარტიის აქტივისტებს მნიშვნელოვან სიგნალებს უგზავნის, რასაც საყურადღებო შედეგები შეიძლება მოყვეს (Ennser-Jedenastik & Muller/ენსერ-იედენასტიკი & მიულერი, 2015. გვ. 930).

კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება, თავის მხრივ, პოლიტიკურ პარტიებზე საკმაოდ თამამი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. შატშნაიდერის პოზიციით, ნომინაციის პროცესი პარტიის ბუნების განმსაზღვრელია, ვინც ნომინაციის პროცესს აკონტროლებს სწორედ ისაა პარტიის „მფლობელიც“. აღნიშნულზე დაკვირვება ყველაზე კარგად აჩვენებს, თუ როგორაა პარტიის შიგნით ძალაუფლება განაწილებული (Schattschneider/შატშნაიდერი, 1942).

ამ საკითხთან დაკავშირებით, გაცილებით რადიკალურ შეფასებას გვთავაზობს მიხელსი, რომელიც ამბობს, რომ კანდიდატების შერჩევა პირდაპირ მიანიშნებს პარტიათა ოლიგარქიულობაზე, რადგანაც ძველმა

ელიტებმა, შესაძლოა, შერჩევის პროცესი ასპარეზზე ახალი ლიდერების გაჩენის პრევენციისთვის გამოიყენონ (Michels/მიხელსი, 1949).

თანამედროვე დემოკრატიული სამყაროს პოლიტიკურ პარტიებში კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევის პროცესი მეტწილად ინკლუზიურად მიმდინარეობს, მაშასადამე, იქ პოლიტიკური ელიტების ჩანაცვლებაში პარტიათა რიგითი წევრები და მხარდამჭერები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. ამის ერთ-ერთი საშუალება პარტიული პრაიმერისებია, რომელიც ხელს უწყობს შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებასა და პარტიებში რიგითი წევრების აქტიურ ჩართულობას. აღნიშნული მეთოდის შეფასებისას ქროსი და ფრუისერსი ხაზს უსვამენ, რომ პრაიმერისები პოლიტიკურ პარტიებს ისეთ პოზიტიურ შესაძლებლობებს სთავაზობს, როგორებიცაა ლეგიტიმაციის გაზრდა და ახალი წევრების მობილიზაცია (Cross & Pruysers/ქროსი & ფრუისერსი, 2017. გვ. 2).

სხვადასხვა ავტორის კვლევებიდან ჩანს, რომ კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევის ინკლუზიურობა შიდაპარტიული დემოკრატიის სხვა მახასიათებლებთან ერთად პარტიებსა და მოქალაქეებს შორის კავშირების გაძლიერებასაც უწყობს ხელს, რაც საქართველოს მსგავსი ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის კრიტიკული მნიშვნელობის საკითხადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ვან ბიზენი აღნიშნავს, ახალ დემოკრატიებში პარტიებსა და საზოგადოებას შორის ფორმალური ორგანიზაციული კავშირები სუსტადაა განვითარებული (Van Biezen/ვან ბიზენი, 2003. გვ. 2010).

იდენტური რეალობაა საქართველოს შემთხვევაშიც, რასაც სოციოლოგიური კვლევებიც ადასტურებს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 2021 წლის ივნისში გამოქვეყნებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 55% პოლიტიკური პარტიების საქმიანობას უარყოფითად აფასებს, კმაყოფილებას კი მხოლოდ 37% გამოთქვამს. ამავდროულად, გამოკითხულთა 61% ახალი პოლიტიკური პარტიის გაჩენას ისურვებდა (Public opinion survey, residents of Georgia, June 2021, Center for insights in survey research).

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში შეიმჩნევა პოლიტიკური პოლარიზაციის ზრდა, რაზეც ხშირად საუბრობენ როგორც საერთაშორისო პარტნიორები, ისე საქართველოში მომუშავე უცხოური თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, პოლიტიკოსები და პოლიტიკის მკვლევრები. აღნიშნული კვლევის ინტერესის ერთ-ერთ საგანს ქვეყანაში შექმნილ ამ რეალობასა და შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს შორის კავშირების გამოკვლევა წარმოადგენს. კაროტერესის და ო'დონოჰიუს განმარტებით, სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრება პოლარიზებული ხდება, როდესაც პოლიტიკურ ძალებს შორის იდეებისა და აქტივობების დონეზე არსებობს ძირეული განსხვავებები და პოლიტიკა დაცლილია საზიარო შეხედულებებისგან. ავტორებს მიაჩნიათ, რომ გარკვეულ დონემდე მიღწევის შემდეგ, პოლარიზაცია დემოკრატიისთვის სახიფათოა (Ed: Carotheres & O'Donohue/რედ: კაროტერესი & ო'დონოჰიუ, 2019. გვ. 4-5).

ჩნდება კითხვა, რამდენად ერგება პოლარიზაციის ამ განმარტებას ქართული რეალობა. გილბრეტისა და თურმანიძის მიხედვით, საქართველოში პოლიტიკურ ძალებს შორის დაყოფა იდეოლოგიური ან პოლიტიკური შეხედულებებით არ არის განპირობებული. ავტორთა დაკვირვებით, მრავალი საკითხის ირგვლივ მოქალაქეთა აზრი ორ რადიკალურ ბანაკად არაა გაყოფილი, რაც პოლარიზაციის აუცილებელი მახასიათებელია. ნაცვლად ამისა, საქართველოში დაყოფას სამი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: 1) გარკვეული პოლიტიკური მოვლენების შეფასება (მაგალითად, ვარდების რევოლუციას ენმ-ს მხარდამჭერები დადებითად აღიქვამენ, განსხვავებით ქართული ოცნების მხარდამჭერებისგან); 2) კონკრეტული პოლიტიკოსები; და 3) ინსტიტუტები, რომელსაც პოლიტიკოსები მართავენ (Gilbreath & Turmanidze/გილბრეტი & თურმანიძე, 2020). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს შემთხვევაში დაყოფის მთავარ წყაროს ძირითადად პოლიტიკოსები და მათთან დაკავშირებული მოვლენები თუ ინსტიტუტები წარმოადგენენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის პირობებში პოლიტიკური პარტიები და ლიდერები მოქალაქეებთან კავშირებისა და ნდობის დაკარგვისკენ არიან მიდრეკილნი. ასეთი

რეალობა გილბრეტისა და თურმანიძის დასკვნას მეტ დამაჯერებლობას სძენს, რადგან უკანასკნელ წლებში ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის ძირითად გამომწვევ მიზეზებს სწორედ ის პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ, რომელთა წინააღმდეგაც მოქალაქეთა უფრო მეტი რაოდენობაა გაერთიანებული, ვიდრე მათ მხარდასაჭერად (რაზეც სოციოლოგიური გამოკითხვები მიანიშნებენ), რაც დაპირისპირებული პარტიების არსენალში მთავარ იარაღად მეორე მხარის დისკრედიტაციასა და ანტიპიარს აქცევს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინტიტუტის უკანასკნელი კვლევა სწორედ ამაზე მეტყველებს. კვლევის მიხედვით, დადებითი პერსონალური რეიტინგი მხოლოდ ორ პოლიტიკოსს - კახა კალაძესა და გიორგი გახარიას აქვს, დანარჩენი ლიდერების შემთხვევაში კი ნეგატიური რეიტინგი ბევრად სჭარბობს პოზიტიურს (Public opinion survey, residents of Georgia, June 2021, Center for insights in survey research) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიდერების მაღალი პერსონალური რეიტინგი ავტომატურად პარტიის მაღალ რეიტინგს არ ნიშნავს. ამის მაგალითი ევროპული საქართველოსა და წარსულში მისი ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძეა. ბაქრაძის მიმართ მოქალაქეთა ნდობა მუდმივად მაღალი იყო, მაშინ როცა ევროპული საქართველოსადმი მხარდაჭერა მუდმივად მცირდებოდა. იგივე ითქმის ირაკლი ალასანიასა და დავით უსუფაშვილზე, რომელთა ინდივიდუალური რეიტინგი მათ პარტიულ რეიტინგებს ბევრად აღემატებოდა.

ამდენად, აკადემიურ ლიტერატურაში დაგროვილი ცოდნა გვაჩვენებს, რომ შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების ლეგიტიმაცია, მოქალაქეებსა და პარტიებს შორის კავშირების შესუსტება და ნდობის შემცირება, პოლიტიკური ელიტების ჩანაცვლება, ახალი პოლიტიკოსების რეკრუტირება, პარტიების მიერ ახალი წევრებისა და მხარდამჭერების მობილიზება, წარმომადგენლობითობა, პარტიების შიგნით კონტროლი და მონიტორინგი ისევე, როგორც მთლიანად ქვეყნის დემოკრატიულობა.

2. მეთოდოლოგია

ჭავჭავაძის ცენტრის მიერ შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ჩატარებულმა კვლევებმა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტი გამოავლინა და აღნიშნული დეფიციტის მიზეზები გამოკვეთა. წინამდებარე კვლევა კი შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიერ გამოწვეული შედეგების იდენტიფიცირებას ისახავს მიზნად. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება:

რა ძირითად შედეგებს იწვევს საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტი?

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ საქართველოში 2003-21 წლების პერიოდში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული უკანასკნელი 4 არჩევნების შედეგების რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. კვლევის მიზნის შესასრულებლად ასევე შესწავლილ იქნა საკითხის ირგვლივ არსებული ძირითადი აკადემიური ლიტერატურა.

კვლევის შერჩევაში მოხვდნენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც მინიმუმ 2 ყრილობა აქვთ ჩატარებული და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ხმათა მინიმუმ 1% მიიღეს.

3. შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გავლენა პარტიების მიმართ ნდობის შემცირებაზე

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის არსებობა ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიების მიმართ ამომრჩევლის ნდობის შემცირებას და ეტაპობრივ დაკარგვას. ამ ტენდენციას აჩვენებს სოციოლოგიური კვლევებისა და საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგებიც, თუმცა, ტენდენცია, როგორც წესი, არჩევნებზე არ აისახება. საქართველოში პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი მასშტაბის გამო პოლარიზებულ საზოგადოებას რეალური ალტერნატივის პოვნა უჭირს, ამიტომ არჩევანის გაკეთება ისევ ორ პოლუსს, ორ ყველაზე მსხვილ პარტიას შორის უწევს.

შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტისა და, უფრო ხშირ შემთხვევებში, არარსებობის პირობებში, პარტიებს შიგნით გადაწყვეტილებები ლიდერთა უკიდურესად ექსკლუზიური წრის მიერ მიიღება. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის, საარჩევნო სიების დაკომპლექტება, კანდიდატების ნომინაცია, პარტიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შერჩევა, ფინანსური რესურსების განკარგვა-განაწილება, საარჩევნო პროგრამისა და სამოქმედო სტრატეგიის შედგენა პარტიული ელიტის მიერ ხდება, ხოლო პარტიის რიგითი წევრები ამ პროცესიდან ჩამოშორებულები არიან. გარდა ამისა, ქართულ პარტიებში ახალი პოლიტიკოსების გამორჩევა და ზოგადი გადახალისების პროცესი სრულად კონტროლდება ექსკლუზიური პარტიული ელიტების მიერ. პარტიებში იშვიათად ჩნდებიან ახალი პოლიტიკოსები და, თუ მაინც ჩნდებიან, მაშინ მათ არა ახალ პოლიტიკურ ფიგურებად, არამედ ახალ „სახეებად“ წარადგნენ. ბუნდოვანია, საიდან მოდიან ისინი და რა პრინციპით დაწინაურდებიან პარტიულ სტრუქტურებში. როგორც წესი, ახალი სახეები მათი „მომყვანი“ ლიდერების უპირობო მხარდამჭერები არიან, ამიტომ მათი პოლიტიკაში შემოსვლა ძირითადად ფასადურია და არ ეფუძნება მერიტოკრატიულ პრინციპებს, იდეოლოგიურ ხედვებს, შიდაპარტიულ კონკურენციაში მოპოვებულ წარმატებას და ა.შ.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებში ინკლუზიურობის უკიდურესად დაბალი მაჩვენებელი, ლიდერზე დამოკიდებულება და ამავდროულად რეალური, თავისუფალი და კონკურენტული განახლებისთვის არარსებული

პოლიტიკური ნება ამომრჩეველში პარტიების მიმართ ნდობის შემცირებასა და პოლიტიკური პროცესებისადმი ნიჰილიზმის გაღვივებას იწვევს. საზოგადოებაში არსებული ნიჰილიზმის ერთერთი ძირითადი მიზეზი ათწლეულების მანძილზე უცვლელი, ამომრჩევლის მიმართ არაანგარიშვალდებული პარტიული ელიტებია, რომლებიც პოლიტიკური ოპონენტებისა თუ უბრალოდ ამომრჩევლების მხრიდან მომავალი კრიტიკის დადუმებას სწორედ „ნიჰილიზმის თესვის“ ბრალდებით ცდილობენ. შედეგად, ამომრჩეველი სულ უფრო ნაკლებად ენდობა პარტიებს და მათ საქმიანობას მკვეთრად უარყოფითად აფასებს.

პარტიების მიმართ ნდობის შემცირება უკანასკნელ წლებში სულ უფრო მზარდი ტენდენცია გახდა. ამას ადასტურებს სხვადასხვა საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგები. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა (2021 წლის ივნისი) აჩვენებს, რომ პარტიების რეიტინგი სხვა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებითაც კი უკიდურესად დაბალია. კითხვაზე - მომავალ არჩევნებზე ისურვებდნენ თუ არა ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენას, თუ კმაყოფილები არიან არსებული პარტიებით, გამოკითხულ რესპონდენტთა 61% ისურვებდა ახალი პარტიების გაჩენას, ხოლო უკვე არსებული პარტიებით კმაყოფილება რესპონდენტთა მხოლოდ 31%-მა გამოთქვა (IRI, Public opinion survey, residents of Georgia, June 2021, გვ. 42). გამოკითხულთა 31% მიიჩნევს, რომ საქართველოში არ არსებობს არცერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც გამოკითხული რესპონდენტების ინტერესებს გამოხატავს (მხოლოდ გამოკითხულთა 21%-ის აზრით ერთი ასეთი პარტია მაინც არსებობს საქართველოში). პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის უკიდურესად დაბალ მაჩვენებელს უსვამს ხაზს პარტიების რეიტინგი სხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ ინსტიტუტებთან შედარებით. გამოკითხვაში პარტიების საქმიანობას დადებითად მხოლოდ რესპოდენტთა 27% აფასებს, მაშინ, როდესაც უარყოფითი შეფასების მაჩვენებელი 62%-ია. შედარებისთვის, ყველაზე მაღალი ნდობის მქონე ორი ინსტიტუტი: ჯარი და საპატრიარქო 85% და 80%-იანი ნდობით სარგებლობს. პარტიებზე დაბალი რეიტინგი მხოლოდ აუდიტის სამსახურს (23%), ეროვნულ ბანკს (22%) და პროფკავშირებს (16%) აქვთ (IRI, Public opinion survey, residents of Georgia, June 2021, გვ. 55).

იმავე ტენდენციას აჩვენებს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის

(NDI) საზოგადოებრივი განწყობების ბოლო კვლევაც, რომელიც 2021 წლის ივლისში ჩატარდა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა საარჩევნო უფლების მქონე 2 016 ადამიანი. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ შეუძლია იმ პარტიის დასახელება, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს დგას. კონკრეტული პარტია გამოკითხულთა მხოლოდ 30%-მა დაასახელა. ამავე დროს, რესპონდენტთა 51%-ისთვის მის შეხედულებებთან ახლოს მდგომი ერთი პარტიაც კი არ არსებობს (NDI, Public attitudes in Georgia, July 2021, გვ. 65).

დიაგრამა 3.1 აჩვენებს როგორ იცვლებოდა გამოკითხულ რესპონდენტთა შეფასებები პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიმართ 2003-2021 წლებში (IRI-ის საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით).



დიაგრამიდან ჩანს, რომ 2003 წლის პერიოდისთვის პოლიტიკური პარტიების მიმართ ამომრჩევლის ნდობა საკმაოდ დაბალი იყო (19%), რომელიც შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და, რომელსაც დროთა განმავლობაში ზრდის ტენდენცია ახასიათებდა. პარტიების მიმართ ნდობამ პიკს 2008 წელს მიაღწია, როდესაც ბოლო 19 წლის განმავლობაში პირველად

და უკანასკნელად პარტიების საქმიანობას დადებითად უფრო მეტი ადამიანი აფასებდა, ვიდრე უარყოფითად (დადებითად 54%, უარყოფითად - 36%). მას შემდეგ მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა, პარტიების მიმართ ნდობა კი 2008 წლის შემდეგ კლების ტენდენციით ხასიათდება.

პარტიების მიმართ ამომრჩევლის უნდობლობამ პიკს 2016 წელს მიაღწია, როდესაც გამოკითხულთა მხოლოდ 16%-მა შეაფასა დადებითად პარტიათა საქმიანობა, ხოლო 73%-მა უარყოფითად. ამომრჩეველი დღესაც კრიტიკულად აფასებს პარტიების საქმიანობას და მას მხოლოდ გამოკითხულთა 27% უცხადებს ნდობას (ამავე დროს, უნდობლობის მაჩვენებელი თითქმის 2,5-ჯერ მეტია და 62%-ს შეადგენს).

დიაგრამა 3.2 აჩვენებს 2013-2021 წლებში რესპონდენტთა პასუხის ცვლილებას კითხვაზე - რომელი პარტია დგას თქვენ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? (NDI-ის საზოგადოებრივი გამოკითხვის მიხედვით).



ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის გამოკითხვები ცხადყოფს, რომ 2013 წლიდან მოყოლებული, ამომრჩეველში იზრდება პოლიტიკური პროცესებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება. უკანასკნელ წლებში, ამომრჩევლის ერთგულება რომელიმე კონკრეტული პარტიისადმი მნიშვნელოვნად შემცირდა. 2017 წლამდე გამოკითხულთა უმრავლესობა ასახელებდა რომელიმე კონკრეტულ პარტიას, რომელიც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს იდგა, თუმცა, დროთა განმავლობაში პარტიებისადმი ამომრჩევლის ნდობა შემცირდა და უკვე 2018 წლიდან კითხვაზე - „რომელი პარტია დგას თქვენ შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?“, გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობს, რომ ასეთი პარტია არ არსებობს. 2021 წელს გამოკითხულთა მხოლოდ 30% იზიარებდა კონკრეტული პარტიის შეხედულებებს, ხოლო რესპონდენტთა 51%-სთვის არცერთი პარტიის იდეოლოგიური ხედვები მათთან ახლოს არ იდგა. [1]

პარტიებისადმი ამომრჩეველთა გაუცხოებაზე მეტყველებს გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობის ზრდაც. თუ მაგალითად 2013 წელს[2] გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 27%-ს შეადგენდა, დროთა განმავლობაში მისი რაოდენობა გაიზარდა და 2019 წელს 56%-ს გაუტოლდა. 2020 წელს გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობამ 59%, ხოლო 2021 წელს კი 61% (ანტირეკორდი) შეადგინა. დიაგრამა 3.3. აჩვენებს, როგორ იცვლებოდა ბოლო წლების განმავლობაში გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა.

[1] ზემოხსენებული გრაფა NDI-ის კითხვარში 2013 წლიდან გვხვდება.

[2] პარტიებისადმი ამომრჩევლის გაუცხოებაზე მონაცემები NDI-ის კვლევებში პირველად 2013 წელს გამოჩნდა.



გარდა პარტიების მიმართ ნდობის შემცირებისა, შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტი ასევე ხელს უწყობს ამომრჩეველში პოლიტიკური პროცესებისადმი იმედგაცრუების ზრდასაც. ამომრჩევლის იმედგაცრუების ერთ-ერთი მიზეზი პარტიის შიგნით ელიტების ცვლილებისთვის არასაკმარისი პოლიტიკური ნებაა, რის გამოც პარტიებში ბუნებრივი, დემოკრატიული განახლების პროცესი პრაქტიკულად არ მიმდინარეობს. სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვა ადასტურებს ამომრჩევლის უკმაყოფილებას იმით, რომ პოლიტიკურ პროცესებში წლების განმავლობაში ერთი და იგივე ინდივიდები არიან ჩართულები და რეალური ცვლილებები პარტიებში არ ხორციელდება, რაც არამხოლოდ შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხზე, არამედ ქვეყანაში დემოკრატიის ზოგად მდგომარეობაზეც აისახება.

პოლიტიკოსებისადმი და პოლიტიკური პროცესებისადმი იმედგაცრუებას ასევე განაპირობებს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა. საერთაშორისო

რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) უკანასკნელი საზოგადოებრივი გამოკითხვები აჩვენებს, რომ კითხვაზე - თქვენი აზრით, სწორი თუ არასწორი მიმართულებით ვითარდება ქვეყანა? გამოკითხულთა უმრავლესობა პასუხობს, რომ არასწორი მიმართულებით. 2004 წლიდან მოყოლებული, ორჯერ შემცირდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. 2004 წელს, გამოკითხულთა 65% საერთო ჯამში, დადებითად აფასებდა ქვეყნის განვითარების ზოგად მიმართულებას. დროთა განმავლობაში ეს რიცხვი შემცირდა და 2016 წელს ისტორიულ მინიმუმზე (16%) ჩამოვიდა, დღესდღეობით კი 30%-ს შეადგენს. ამასთანავე, თითქმის 2.5-ჯერ გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა აზრითაც, ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება. თუ 2004 წლის ოქტომბერში მათი რაოდენობა 24%-ს შეადგენდა, 2021 წლის თებერვლის მონაცემებით, ის 59%-ს შეადგენს. დიაგრამა 3.4 აჩვენებს, როგორ იცვლებოდა ზემოხსენებულ კითხვაზე რესპონდენტთა პასუხი 2004 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის თებერვლის ჩათვლით (IRI, Public opinion survey: Residents of Georgia, February 2021, გვ. 5).

იმავე ტენდენციას აჩვენებს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი გამოკითხვებიც. 2009 წლიდან მოყოლებული 2021 წლამდე იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელიც დადებითად აფასებდა ქვეყნის განვითარებას, 40%-დან 23%-მდე შემცირდა, ხოლო იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთა აზრითაც, ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, 31%-დან 49%-მდე გაიზარდა (NDI, Public attitudes in Georgia, Results of July 2021 Telephone Survey, გვ. 8).



ამომრჩევლის იმედგაცრუების ზრდას აჩვენებს რესპონდენტთა უკმაყოფილება ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ფონის მიმართ. IRI-ს 2021 წლის თებერვლის საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ 6% მიიჩნევდა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა უკანასკნელი 1 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად ან ნაწილობრივ გაუმჯობესდა, ხოლო გამოკითხულთა 76%-ის აზრით ეკონომიკური მდგომარეობა საერთო ჯამში გაუარესდა (39%-ის აზრით მკვეთრად, ხოლო 37%-ის აზრით ნაწილობრივ), ხოლო 19% მიიჩნევს, რომ ის არ შეცვლილა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს შედეგი აბსოლუტური მინიმუმია 2004 წლის ოქტომბრის შემდეგ. იმავე გამოკითხვით, საქართველოს

წინაშე არსებულ გამოწვევებს შორის მოწინავე ადგილებზე უმუშევრობა (65%), ინფლაცია (37%), სიღარიბე (27%) და ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობაა (7%) (IRI, Public opinion survey: Residents of Georgia, February 2021, გვ. 7-10).

მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე მეტყველებს NDI-ის გამოკითხვების შედეგებიც. 2021 წლის ივლისის სატელეფონო ინტერვიუში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობის (41%) აზრით, საქართველოში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სამუშაო ადგილების არარსებობაა. მეორე და მესამე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რესპონდენტებმა სიღარიბე (38%) და ინფლაცია (29%) დაასახელეს (NDI, Public attitudes in Georgia, Results of July 2021 Telephone Survey, გვ. 23). დიაგრამა 3.5 აჩვენებს გამოკითხულთა დამოკიდებულებას ქვეყანაში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების მიმართ (NDI-ის საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით).

დიაგრამა 3.5: რესპონდენტთა აზრით, რა წარმოადგენს საქართველოში არსებულ ყველაზე დიდ პრობლემას? NDI-ის საზოგადოებრივი გამოკითხვა (2021 წლის ივლისი)



ამომრჩეველში პოლიტიკური პროცესებისადმი იმედგაცრუების ზრდისა და სოციოლოგიურ კვლევებში მოქალაქეების მიერ ქვეყანაში არსებული მრავალი მწვავე პრობლემის იდენტიფიცირების მიუხედავად, ოპოზიციური პარტიები საკუთარი მხარდამჭერების მნიშვნელოვნად გაზრდას ვერ ახერხებენ, რაც ერთი შეხედვით, პარადოქსული მოვლენაა. აღნიშნული ფენომენი შესაძლოა, გარკვეულწილად, პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტით აიხსნას. არადემოკრატიულ პარტიებში ცვლილებების განხორციელება, იქნება ეს ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკოსების გამოჩენა, თუ პარტიის პოლიტიკის გადახედვა და ადაპტაცია ახალ რეალიებზე, რთულად მიმდინარეობს, რაც საქართველოს შემთხვევაში, მოქალაქეების იმედგაცრუების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. სოციოლოგიური გამოკითხვებიც ამასვე ადასტურებს. ამის გამო ოპოზიციური პარტიები, მათ შორის მსხვილი პარტიებიც, ელექტორალურ ბაზას ვერ ზრდიან იმ ზღვრამდე, რაც კრიტიკული მასის შესაქმნელადაა საჭირო. ეს შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ რიგითი ამომრჩევლის აღქმით პოლიტიკურ ველზე ნდობის ღირსი ალტერნატივების დეფიციტია, რაც ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო (რომელიც აღნიშნული კვლევის ინტერესის საგანს არ წარმოადგენს) ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, მმართველ ძალას გამოკვეთილად უპირატეს მდგომარეობაში აყენებს.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტი გავლენას ახდენს პარტიების მიმართ ამომრჩევლის ნდობის შემცირებაზე. პარტიების უკიდურესი ექსკლუზიურობა და ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერებზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აზიანებს პარტიების იმიჯს, წევრთა და მომხრეთა ჩართულობას და, შესაბამისად, პარტიების მიმართ განწყობებს ამომრჩევლის თვალში.

პარტიების მიმართ ნდობის შემცირებაზე ყველაზე დიდი გავლენა პოლიტიკაში წლების მანძილზე ერთი და იგივე არაპოპულარული, პოლიტიკური ანგარიშვალდებულების მიღმა არსებული პოლიტიკოსების საქმიანობას აქვს. ამომრჩეველი ხედავს, რომ პარტიებში პერიოდული, ბუნებრივი განახლებისთვის საკმარისი პოლიტიკური ნება არ არსებობს, რის გამოც პარტიებსა და მოქალაქეებს შორის გაუცხოება, დროთა

განმავლობაში, უფრო და უფრო იზრდება. უკანასკნელ ხანებში ამ პროცესმა გამოკვეთილი ტენდენციის სახე მიიღო. ამ მოსაზრებას საზოგადოებრივი აზრის ყოველწლიური კვლევის შედეგებიც ამყარებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული პარტიები აქტიურად იმუშავებენ შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებაზე, შეამცირებენ პარტიებში ცალკეული ლიდერების არაბუნებრივად მაღალ და, ხშირ შემთხვევაში, ხელოვნურ გავლენას,

გაზრდიან პარტიებში რიგითი ამომრჩევლების ჩართულობასა და პარტიათა პერიოდული განახლებისთვის საკმარის პოლიტიკურ ნებას გამოავლენენ, ამომრჩეველში პოლიტიკური პარტიების მიმართ უნდობლობა, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვნად შემცირდება, და შესაბასამისად, პარტიებიც საკუთარი ელექტორალური ბაზის გაზრდას შეძლებენ. აღნიშნული საკითხის უფრო დეტალურად გამოსაკვლევად, მომავალში რაოდენობრივი კვლევის ჩატარებაა რეკომენდებული.

4. შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გავლენა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე საქართველოში

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა ხელს უწყობს ქვეყანაში პოლარიზაციის გაღრმავებას. შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გამომწვევი მიზეზები, მათ შორის ლიდერებზე დამოკიდებულება, უკიდურესი ექსკლუზიურობა და პარტიების პერიოდული განახლების არასაკმარისი ნება ისეთ პოლიტიკურ გარემოს ქმნის, რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლა ორი პოლუსის გარშემო დაჯგუფებულ ძალებს შორის მიმდინარეობს.

საქართველოში ყველა ხელისუფლება იყენებდა პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მეთოდებს, მათ შორის ფიზიკურ ძალადობას, დაშინებას, შანტაჟსა და დეზინფორმაციების გავრცელებას, რაც არაერთხელ ასახულა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშებში. ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) 2008 და 2012 წლების არჩევნების

საბოლოო ანგარიშში ნათქვამია, რომ დადასტურდა ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციური კანდიდატებისა და სახელმწიფო მოხელეების დაშინებისა და მათზე ზეწოლის, ისევე როგორც პარტიული აქტივისტების შევიწროების ფაქტები (Office for Democratic Institutions and Human Rights, Georgia Parliamentary Elections OSCE/ODIHR Election Observation MissionFinal Report, 2008 and 2012, გვ. 4). მოქმედი ხელისუფლების პირობებში ზემოხსენებული მეთოდების გამოყენების ფაქტები კიდევ უფრო გახშირდა. გარდა ხელისუფლებისა, დისკრედიტაციასა და დეზინფორმაციის გავრცელებას იყენებენ ოპოზიციური პარტიებიც, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც უკიდურესად პოლარიზებულ გარემოს.[3]

პოლარიზაცია გულისხმობს პოლიტიკურ პროცესს, რომლის დროსაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად იზრდება და საზოგადოების „ჩვენიანებად“ და „მათიანებად“ დაყოფის საფუძველი ხდება (McCoy, Rahman, and Somer, 2018, გვ.1). ასეთ დროს დაპირისპირებული ჯგუფების ლეგიტიმაცია მთლიანად მოწინააღმდეგის დემონიზებაზეა დაფუძნებული. ეს უკანასკნელი ოპონენტისთვის რაიმე იარლიყის მიკერებასა და მუდმივად მის ამორალურ მოქმედებებზე აქცენტირებას მოიცავს (Deluka & Buell, 2005, გვ.3). შესაბამისად, პოლიტიკური სუბიექტების ხელში დემონიზაცია მოწინააღმდეგეების დისკრედიტაციისა და ამავდროულად, საკუთარი ლეგიტიმაციის გამყარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

პოლარიზაციის მაღალი მასშტაბის მქონე სახელმწიფოებში დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები ოპონენტებისგან ერთგვარ მტრის ხატს ქმნიან და ხელისუფლებაში მათი მოსვლის/დაბრუნების შემთხვევაში აპოკალიპტურ სცენარს ხატავენ. მათი აზრით, ასეთი ოპონენტების პოლიტიკური სპექტრიდან ჩამოსაშორებლად გამართლებულია უკიდურესი ზომების მიღება, მათ შორის ძალადობრივი ქმედებებიც. ასეთ ქვეყნებში პარტიები არჩევნებამდე პოლიტიკურ პროგრამასა და იდეოლოგიურ ხედვებზე საუბრის ნაცვლად ხაზს ოპონენტი პარტიის შეცდომებს, ამორალურობასა და არალეგიტიმურობას უსვამენ (სილაგაძე & გოზალიშვილი, 2019, გვ.1).

[3] https://oc-media.org/facebook-takes-down-disinformation-networks-linked-to-both-georgias-ruling-party-and-opposition/

პოლარიზებული გარემოს პირობებში, დაპირისპირებული ჯგუფები პოლიტიკას ნულოვანჯამიან თამაშად აღიქვამენ, რომელშიც საკუთარი გამარჯვება მოწინააღმდეგის დამარცხებად აღიქმება და პირიქით. ასეთ დროს პოლიტიკურ სუბიექტებს შორის კონსტრუქციული ურთიერთობებისა და კომპრომისების ადგილი არ რჩება და მის ადგილს დაპირისპირებულ მხარეებს შორის დესტრუქციული რიტორიკა და მოქმედებები იკავებს. უკიდურესი პოლარიზაციის პირობებში, როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვებისთანავე ახალი ხელისუფლება ანგარიშწორებას იწყებს მისი წინამორბედის მიმართ, თუ ის პოლიტიკაში რჩება, რაც პოლიტიკური ოპონენტების დევნაში გამოიხატება. ზემოხსენებული პროცესი რევანშიზმს ახალისებს, როდესაც ხელისუფლებაში ახალმოსული ძალა საკუთარი ლეგიტიმაციის გამყარებას წინა ხელისუფლებაზე პოლიტიკური ანგარიშსწორებით ცდილობს. ასეთ სისტემაში მმართველი პარტიისთვის დამარცხება არამხოლოდ პოლიტიკური კარიერის დასრულებას, არამედ პოლიტიკური დევნის ობიექტად ქცევასაც ნიშნავს, ამიტომ გავლენის შესანარჩუნებლად ხელისუფლება ყველა რესურსს იყენებს, მათ შორის დაშინებას, მუქარას, არჩევნების გაყალბებას, სახელმწიფო ინსტუტების მონოპოლიზებას და ა.შ. (თორნტონი, 2021, გვ.3).

პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს შექმნას ხელს უწყობს მასმედიის საშუალებებიც, რომლებიც ხშირად ამა-თუ იმ კონკრეტული პარტიისა თუ პარტიის შიდა ჯგუფის ინტერესებს გამოხატავენ და, შესაბამისად, აღიქმებიან, როგორც პოლიტიკური დაკვეთებით მოქმედნი. სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებები ფავორიტი პოლიტიკური ძალის პოპულარიზებისა და ოპონენტი ძალის დისკრედიტაციის მიზნით ხშირად დეზინფორმაციასაც ავრცელებენ. მათ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი აქვთ, შესაბამისად პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიასაშუალებები კიდევ უფრო აღრმავებენ დესტრუქციულ, უკომპრომისო და პოლარიზებულ პოლიტიკურ სივრცეს (Yang et al, 2016, გვ. 7).

ზემოხსენებული ვითარება დამახასიათებელია საქართველოსთვისაც. სხვადასხვა მთავრობათშორისი და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის: ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და

ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR)[4] , Freedom House-ის[5] , Human Rights Watch-ისა[6] და დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებით, საქართველოში პოლიტიკური სპექტრი უკიდურესად პოლარიზებულია. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ყოველი ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური ლეგიტიმაციის გამყარებას მოწინააღმდეგე პოლიტიკური სუბიექტების დემონიზებით ცდილობდა. გამსახურდიას ხელისუფლება პოლიტიკურ ოპონენტებს, ხშირად, სუკ-ის აგენტებად მოიხსენიებდა, ხოლო შევარდნაძის ხელისუფლება პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დისკრედიტაციას მათთვის „პროვინციული ფაშიზმის" და „ტერორიზმის" დაბრალებით ცდილობდა. ხელისუფლების სათავეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყოფნის პერიოდში, არასასურველი პოლიტიკური ძალის რუსეთთან კავშირში დადანაშაულება მიღებული პრაქტიკა იყო. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა, არსებობდა ამგვარი ეჭვის ობიექტური საფუძველი, აღნიშნული ბრალდება იმდენად ხშირად იქნა გამოყენებული ოპონენტების მიმართ, რომ მან მიიღო პოლიტიკური დისკრედიტაციის სახე. დღეს კი ქართული ოცნების მოქმედი ხელისუფლება მის პრაქტიკულად ყველა ოპონენტს ნაციონალური მოძრაობის სატელიტად მოიხსენიებს, რომელსაც თავის მხრივ, „დესტრუქციულ ძალად" წარმოაჩენს. პოლარიზაციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს ქართული ოცნების პირობებში მიაღწია, რომელიც ხელისუფლების შენარჩუნებას წინა მთავრობის „დანაშაულებზე" აპელირებითა და ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის დემონიზებით ახერხებს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქართულ პოლიტიკაში ხელისუფლებაში მოსული პარტია ძალაუფლების მონოპოლიზებისთვის რევანშისტულ პოლიტიკას მიმართავს, რაც ხშირად საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაკვეთასაც პასუხობს. შედეგად, პოლიტიკური პროცესი უკიდურესად დესტრუქციული ხდება, რომელშიც მცირე კომპრომისებზე წასასვლელადაც კი საერთაშორისო პარტნიორების ჩართვა და მედიაცია თუ ფასილიტაცია ხდება საჭირო. ასეთი

[4] https://www.osce.org/files/f/documents/8/c/502704.pdf

[5] https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2020

[6] https://www.hrw.org/world-report/2022/country-chapters/georgia

ფასილიტაციის მაგალითია მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის 2020 წლის 8 მარტს[7] დადებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც მხარეებმა კონკრეტული ვალდებულებები აიღეს, მათ შორის 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების 120/30-ზე პროპორციით (120 მანდატი პროპორციული სიით, 30 მაჟორიტარულით) ჩატარება, საპარლამენტო არჩევნებზე 40%-იანი ჩამკეტი მექანიზმის დაწესება და კონკრეტულ პირთა, მათ შორის გიგი უგულავას, ირაკლი ოქრუაშვილის, ბესიკ თამლიანისა და გიორგი რურუას მიმართ სისხლისსამართლებრივი დავის შეწყვეტა. 8 მარტის შეთანხმებით[8] აღებული ვალდებულებები ხელისუფლებამ მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა. პოლიტპატიმრებიდან მხოლოდ უგულავა და ოქრუაშვილი გათავისუფლდნენ, რურუა და თამლიანი კი პატიმრობაში დარჩნენ. ხელისუფლებამ ასევე ნაწილობრივ შეასრულა 2021 წლის 19 აპრილს ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის, შუამავლობით დადებული შეთანხმება[9]. ეს უკანასკნელი 5 ძირითად საკითხს (პოლიტიკურ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირება, ამბიციური საარჩევნო რეფორმის განხორციელება, სასამართლო რეფორმის განხორციელება, პარლამენტში ძალაუფლების განაწილება და ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე 43%-იანი ჩამკეტი მექანიზმის დაწესება) მოიცავდა. ზემოხსენებული ვალდებულებებიდან მმართველმა პარტიამ ბოლომდე არცერთი შეასრულა. 2021 წლის ივლისის ბოლოს ხელისუფლება ცალმხრივად გამოვიდა შეთანხმებიდან, შესაბამისად უარი თქვა აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. [10]

დღესდღეობით ქართული პოლიტიკური სპექტრი პოლარიზებულია ორ ყველაზე მსხვილ პარტიას, ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის, რასაც ხელს უწყობს უკიდურესად ხისტი და აგრესიული რიტორიკა მათი ლიდერების ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის მიმართ, (Smolnik, Sarjveladze, Tadumadze, 2021,

[7] https://civil.ge/archives/341385

[8] https://tabula.ge/ge/news/641346-shetankhmeba-saarchevno-sistemaze-ra-ceria

[9] https://eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf

[10] https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/ruling-party-in-georgia-dumps-charles-michels-agreement/

გვ. 2). ქართული ოცნებისთვის ნაციონალური მოძრაობა ერთგვარი განტევების ვაცია, რომელიც პასუხისმგებელია ნებისმიერ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ კრიზისზე. ყოველი მომდევნო არჩევნების წინ მმართველი პარტიის ძირითადი დაპირება ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური ველიდან გაქრობაა, ხოლო ამ უკანასკნელისთვის კი პირიქით, ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის სათავე მმართველი პარტია და მისი არაფორმალური ლიდერი, ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ყველა მიმდინარე პროცესს აკონტროლებს. აღნიშნული ბრალდებების შინაარსისა და საფუძვლიანობის განხილვაში შესვლა კვლევის მიზანი არ არის, კვლევის ამ ნაწილის მიზანს პოლარიზაციის მექანიზმების ახსნა წარმოადგენს.

პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი ხარისხი[11] ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რის გამოც ქართულ პოლიტიკაში, შედარებით მცირე ზომის პოლიტიკურ პარტიებს უჭირთ თავის წარმატებით დამკვიდრება[12]. პოლარიზაციის მაღალი მასშტაბის პირობებში პატარა პარტიები ვერ ახერხებენ ამომრჩევლისთვის მსხვილი პარტიების ალტერნატივა გახდნენ. პატარა პარტიების გახსნამ და მათი მხრიდან შიდაპარტიული დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრებამ შესაძლოა გაზარდოს მათდამი ამომრჩევლის მხარდაჭერა და დაარწმუნოს ისინი, რომ პარტიებში დემოკრატიული ცვლილებების განხორციელება საკმაოდ რეალური პერსპექტივაა. ორპოლუსიანი სისტემის პირობებში, სადაც პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატია არ არსებობს ამომრჩეველის ხმები დიდწილად ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ყველაზე მსხვილ პარტიას შორის ნაწილდება.

საქართველოში პოლიტიკურ პოლარიზაციას ხელს უწყობს ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტიების მიერ სიძულვილის ენის სისტემატური გამოყენება. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (ODIHR) უკანასკნელი წლების არჩევნების შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს პარტიების გადაჭარბებულად

11 https://carnegieeurope.eu/2021/12/08/divided-georgia-hostage-to-polarization-pub-85937

12 https://www.research-collection.ethz.ch/bitstream/handle/20.500.11850/507160/CAD123.pdf?sequence=3&isAllowed=y

აგრესიულ რიტორიკაზე. განსაკუთრებით მწვავე შეფასება გაკეთდა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემაჯამებელ დასკვნაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ არჩევნებამდე პოლიტიკური გარემო უკიდურესად პოლარიზებული, ხოლო დისკურსი აგრესიული და კონფრონტაციული იყო. დასკვნაში ნათქვამია, რომ საარჩევნო კამპანიისას ხშირი იყო თავდასხმითი და ნეგატიური რიტორიკის გამოყენება. ორმა უმსხვილესმა პარტიამ მრავალჯერ გააჟღერა ერთმანეთის „დასრულებისკენ“ მიმართული მოწოდებები, ხოლო ნეგატიური კამპანია დაიწყო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეორგოლების საშუალებით (ODIHR-ის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ).

სიძულვილის ენის ტირაჟირებას ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესებისადმი და კონკრეტული პოლიტიკოსებისადმი საზოგადოებაში დაგროვილი ნეგატიური დამოკიდებულება. სხვა სახელმწიფოებში პოლარიზაციის ძირითადი წყარო პარტიებს შორის განსხვავებული იდეოლოგიური ხედვები, საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლარიზაციას პოლიტიკის რიგ საკითხებზე დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ხედვები განაპირობებს. თურქეთში პოლარიზაციის წყაროს სეკულარულ და ისლამისტურ პარტიებს შორის კონფლიქტი, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცის მრავალ ქვეყანაში საგარეო პოლიტიკური კურსი (ე.წ. პროდასავლური და პრორუსული პარტიების დაპირისპირება) წარმოადგენს. მათგან განსხვავებით, საქართველოში პოლარიზაცია მეტწილად პერსონიფიცირებულია. სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ამომრჩევლის სრული უმრავლესობა ემხრობა პროდასავლურ კურსს და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ასევე უარყოფითად აფასებს როგორც პარტიების, ასევე ცალკეული პოლიტიკოსების საქმიანობას. საზოგადოებაში კონკრეტული პოლიტიკოსების მიმართ დაგროვილი უარყოფითი დამოკიდებულება მკვეთრად აჭარბებს დადებით შეფასებებს. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ პარტიებში გადახალისების, პერიოდული დემოკრატიული

განახლების პროცესი არ მიმდინარეობს. ამომრჩეველი წლების განმავლობაში ერთსა და იმავე ლიდერებს მხოლოდ იმის გამო უყურებს, რომ პოლიტიკური პარტიები ცვლილებისა და ახალი ლიდერების გამოჩენის შესაძლებლობებისთვის ჩაკეტილია. ჯამური უარყოფითი რეიტინგების მქონე ლიდერები, ძალაუფლების დაკარგვის შიშით, შიდაპარტიულ კონკურენციას არ უშვებენ და ახალი თაობის პოლიტიკოსებს პარტიულ პოლიტიკაში სრულფასოვნად ჩართვის საშუალებას არ აძლევენ.

ისეთ პირობებში, რომელშიც პოლიტიკოსების სრული უმრავლესობის მიმართ ამომრჩეველს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს, ოპონენტების დისკრედიტაცია და დემონიზაცია ელექტორალური თვალსაზრისით მომგებიანია, რადგან ის მტრის ხატის შექმნის, საკუთარი ლეგიტიმაციის გამყარებისა და პოლიტიკური გავლენის შენარჩუნების შესაძლებლობას წარმოადგენს.

საქართველოში უკიდურესად პოლარიზებულია მედიაგარემოც. ევროპის კავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშებში აღნიშნულია, რომ თითქმის ყველა ადგილობრივი მედია მნიშვნელოვან საკითხებზე ფაქტებით მანიპულირებს. ანგარიშის მიხედვით, მედია პოლარიზება ძირითადად გადაუმოწმებელი სიახლეების გამოქვეყნებით, ყალბი ახალი ამბების შექმნითა და გავრცელებით, პოლიტიკური პრეფერენციების დაუფარავად გამოხატვითა და კონკრეტული პოლიტიკური ძალების ღია დისკრედიტაციით ვლინდება.[13]

პოლარიზაციის მაღალ მასშტაბებზე მეტყველებს თვითმმართველობის უკანასკნელ არჩევნებზე დაფიქსირებული შედეგებიც. მმართველმა პარტიამ და ყველაზე მსხვილმა ოპოზიციურმა პარტიამ ერთად ხმების სრული რაოდენობის 77.5% მოიპოვეს, ხოლო დანარჩენი პარტიების მხარდაჭერა ჯამურად 22.5%-ს შეადგენდა. არჩევნებზე დაფიქსირებული შედეგები სრულიად საპირისპიროა სხვადასხვა საზოგადოებრივ გამოკითხვებში დაფიქსირებული შედეგებისა, რომლის მიხედვითაც, მოქალაქეთა მხარდაჭერა კონკრეტული პარტიებისადმი ჯამურად ბევრად ნაკლებია, ვიდრე გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის 2021 წლის ივლისის კვლევის

13 https://georgia.un.org/index.php/en/125625-post-election-media-monitoring-georgian-media-stays-pluralistic-and-polarized

მიხედვით (რომელიც თვითმმართველობის არჩევნებამდე 2 თვით ადრე ჩატარდა), გამოკითხულთა მხოლოდ 30% უჭერდა მხარს კონკრეტულ პარტიას, ხოლო გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა 51%-ს შეადგენდა (NDI, Public attitudes in Georgia, July 2021, გვ. 65). დიაგრამა 4.1 და 4.2 აჩვენებს, რომ მიუხედავად პარტიებისადმი ამომრჩევლის უკიდურესად დაბალი ნდობისა, ქვეყანაში არსებული პოლარიზაციის გამო პოლიტიკურ სპექტრში ერთი და იგივე პარტიები დომინირებენ.



დიაგრამა N3 აჩვენებს საზოგადოების განწყობებს პოლარიზაციის ხარისხთან დაკავშირებით. კითხვაზე - თქვენი აზრით იზრდება თუ მცირდება ქვეყანაში პოლარიზაციის დონე? რესპონდენტთა 61%-მა უპასუხა რომ იზრდება. გამოკითხულთა მხოლოდ 27% მიიჩნევს რომ პოლარიზაციის ხარისხი მცირდება,

დიაგრამა 4.3: საზოგადოების განწყობები საქართველოში პოლარიზაციასთან დაკავშირებით (%-ებში). IRI-ის კვლევა, 2020 წლის ივნისი



როგორ უკავშირდება შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა პოლარიზაციას? შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის რომელი გამომწვევი მიზეზები ზრდის ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხს? ამგვარი კორელაციის დასადგენად კვლევაში ორი მნიშვნელოვანი ცვლადი, ლიდერზე დამოკიდებულება და პარტიის პერიოდული განახლების არასაკმარისი პოლიტიკური ნება უნდა შემოვიტანოთ.

1. ლიდერებზე დამოკიდებულება

საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტი მნიშვნელოვანწილად სწორედ ლიდერებზე დამოკიდებულების ფენომენით აიხსნება. ქართულ პარტიებში რიგითი ამომრჩეველი ჩამოშორებულია პარტიის მართვაში მონაწილეობის, პარტიის სტრუქტურული ორგანოების დაკომპლექტების და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადამწყვეტი სიტყვა

პარტიის ლიდერს (ამ პარტიული ელიტის მცირე ჯგუფს) ეთქმის, რომელიც აკომპლექტებს როგორც პარტიულ საარჩევნო სიებს, ისე შიდაპარტიულ თანამდებობზე დასანიშნად არჩევს კანდიდატებს, ანაწილებს პარტიულ ფინანსებს და აკონტროლებს პარტიაში მიმდინარე ყველა პროცესს.

იმის გამო, რომ ასეთ პარტიებში ლიდერის გავლენა შეუზღუდავია, პარტიის საარჩევნო პროგრამაც და სამოქმედო სტრატეგიაც ხშირად სწორედ ლიდერის მიერაა შემუშავებული (Scarrow/სქეროუ, 2005, გვ. 15). ეს უკანასკნელი კი ძირითადად განპირობებულია არა პარტიის ხედვებითა და იდეოლოგიით, არამედ პარტიის ლიდერის პირადი განწყობებით, აზრით, დამოკიდებულებით და მოტივაციით. ქარიზმატული ლიდერებისთვის პოლიტიკური სპექტრის პოლარიზება ელექტორალურად მომგებიანია.

პოლიტიკური ოპონენტების მტრად შერაცხვა, მათთვის იარლიყების მიკერება და ყველა პრობლემის მათთვის გადაბრალება ლიდერისთვის ერთგული მხარდამჭერების მობილიზების საუკეთესო გზაა. ამიტომ, პარტიათა ლიდერები ხშირად ხელოვნურად ამწვავებენ სიტუაციას და საკუთარი ლეგიტიმაციის გასამყარებლად ოპონენტების დემონიზებას ახდენენ. ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატიის არსებობის შემთხვევაში პოლიტიკურ პროცესებში შემცირდებოდა კონკრეტული ლიდერის როლი. შიდაპარტიული დემოკრატიის დონის ამაღლება გაზრდიდა პარტიის ლიდერთა ანგარიშვალდებულების ხარისხს და პარტიულ პროცესებში რიგითი წევრების ჩართულობას, რაც პოლარიზაციის ხარისხსაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა.

2. პარტიების განახლების არასაკმარისი პოლიტიკური ნება

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გამო, ქართულ პარტიებში განახლების პროცესი თითქმის არ მიმდინარეობს. დასავლურ დემოკრატიებში პარტიები, ყოველი საარჩევნო ციკლის ბოლოს, ბუნებრივად გადახალისდება, ხოლო არჩევნებში წარუმატებელი ან არასაკმარისად წარმატებული შედეგი პარტიაში ახალი პოლიტიკოსების გამოჩენისა თუ დაწინაურების პროცესს აჩქარებს. დამარცხებული კანდიდატი კარგავს ელექტორატის მხარდაჭერას, მას ახალი, ამომრჩევლისთვის უფრო მეტად მისაღები კანდიდატი ჩაანაცვლებს, რაც

დემოკრატიისთვის რუტინული და ფუნდამენტური პროცედურაა. მათგან განსხვავებით, ქართულ პოლიტიკურ პარტიებში მთელი ძალაუფლება ძველი ელიტის ხელშია, რომლებიც, სავარაუდოდ, საკუთარი პოზიციების დაკარგვის შიშით პარტიებში თავისუფალი კონკურენციის გზით ახალი პოლიტიკოსების შემოყვანას ერიდებიან (Gherasimov, 2019, გვ. 12-13). შესაბამისად, ამომრჩეველს არ აქვს ალტერნატივა და მას ისევ არსებულ პარტიებსა და ამ პარტიების ლიდერთა მიერ სუბიექტური მოტივაციით შერჩეულ კანდიდატებს შორის უწევს არჩევანის გაკეთება, რომელთა დღის წესრიგი, მეტწილად, პოლარიზაციასა და ოპონენტების დემონიზებაზეა დაფუძნებული.

ქვეყანაში ასეთი პარტიების არსებობა ქმნის რეალობას, რომელშიც პოლიტიკური პროცესების პოლარიზება ორ ერთმანეთთან დაპირისპირებულ პარტიასა და მათ ლიდერებს შორის ხდება. შიდაპარტიული დემოკრატიის მაღალი სტანდარტის არსებობის შემთხვევაში, პარტიული განახლების პროცესი პოლიტიკაში ჯამური ნეგატიური რეიტინგის მქონე ლიდერების გავლენას მაქსიმალურად შეამცირებდა და მათი ახალი პოლიტიკოსებით ჩანაცვლების პერსპექტივას გააჩენდა, რომელთა დღის წესრიგი უფრო ნაკლებად იქნებოდა ორიენტირებული ოპონენტების დისკრედიტაციაზე. შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დაცვით პარტიების პერიოდული განახლება პანაცეას არ წარმოადგენს, თუმცა, მას შეიძლება პოზიტიური როლი ეთამაშა პოლარიზაციის თუნდაც მცირედით განმუხტვის მიმართულებით. დემოკრატიული განახლების პროცესის შედეგად უარყოფითი პერსონალური რეიტინგის მქონე ლიდერებს ძალაუფლების შენარჩუნება უჭირთ და პირიქით, მეტი სტიმული ეძლევა პარტიაში ახალი პოლიტიკოსების გამოჩენას, რომელთაც ახალი იდეები, გეგმები და რაც მთავარია, მეტად პოზიტიური რეიტინგი აქვთ.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში პოლარიზაციის ზრდაზე გავლენა აქვს როგორც გარე (ერთი პარტიის მიერ მთელი ძალაუფლების მონოპოლიზება, ბრძოლა უკიდურესად შეზღუდული ეკონომიკური რესურსებისთვის და პოლიტიკის პერსონალიზაცია), ასევე შიდა (პარტიის შიგნით დემოკრატიული სტანდარტების არარსებობა) ფაქტორებს. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სპექტრის

პოლარიზებაზე გავლენას შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტიც ახდენს, რამდენადაც ის პარტიის პერიოდული განახლებისთვის საკმარის სივრცეს არ ტოვებს, რის გამოც, პოლიტიკურ სპექტრში ისევ ორი ყველაზე მსხვილი, ერთმანეთთან დაპირისპირებული პარტია დომინირებს. იმ შემთხვევაში, თუ პატარა პარტიებში დემოკრატიული სტანდარტები იარსებებდა, რეალურად გაჩნდებოდა პარტიული ელიტის ცვლილების შესაძლებლობა, რაც ქართული რეალობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, მათი ელექტორალური წარმატების გასაღები იყოს. საქართველოში არსებული პოლარიზაციის უკიდურესად მაღალი ხარისხის შემცირება შესაძლოა შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებით. ლიდერზე დამოკიდებულების შესუსტება, პარტიის საქმიანობაში რიგითი წევრების ფართო ჩართულობა და პარტიის პერიოდული განახლება პოლიტიკური ოპონენტების დევნასა და დემონიზებაზე დაფუძნებული ტრადიციული პოლიტიკის დესტრუქციულ გავლენას შეამსუბუქებდა და პოლარიზაციასაც გარკვეულ დონეზე განმუხტავდა.

5. პოლიტიკოსების მიმართ ნდობის შემცირება და ელიტების ჩანაცვლების პრობლემა საქართველოში

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი დანიშნულება პოლიტიკურ პარტიებში ლიდერებისა და საჯარო არჩევითი თანამდებობებისთვის კანდიდატების შერჩევაა. აღნიშნული პროცესის დემოკრატიულობა და კონკურენტულ გარემოში ჩატარება პოლიტიკურ პარტიებს განახლების საშუალებას აძლევს, ეს კი რიგითი და ნაკლებად ცნობილი, თუმცა, კომპეტენტური, უნარიანი და ნიჭიერი წევრებისთვის პარტიულ საქმიანობაში ჩართვის კარგი შესაძლებლობაა, რაც პარტიული ორგანიზაციის რეგულარულ გაჯანსაღებასა და წარმომადგენლობითობის განმტკიცებას უწყობს ხელს. შიდაპარტიული დემოკრატიის პირობებში, პოლიტიკოსებს საკუთარი მხარდამჭერებისთვის მუდმივად უწევთ იმის დამტკიცება, რომ პარტიისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველ პოლიტიკოსებს მარტივად ჩაანაცვლებენ უფრო მაღალი მხარდაჭერის მქონე ახალი ლიდერები. იმ პოლიტიკურ პარტიებში კი, რომლებშიც შიდაპარტიული დემოკრატია არ არსებობს, ან მას მხოლოდ ფასადური ხასიათი აქვს, განახლების პროცესიც ლიდერთა

ვიწრო წრის მიერ კონტროლდება და პარტიულ სტრუქტურებში პერიოდულად დაწინაურებული პოლიტიკოსები არა პარტიის რიგით წევრებთან და მხარდამჭერებთან არიან ანგარიშვალდებულნი, არამედ ლიდერთა იმ მცირე ჯგუფთან, რომლებმაც მათი დაწინაურება უზრუნველყვეს.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში, შიდაპარტიული დემოკრატიის უკიდურესი დეფიციტიდან გამომდინარე, განახლების პროცესი არაეფექტურად მიმდინარეობს, რადგანაც ცვლილებებს მხოლოდ ფასადური ხასიათი აქვს და ის ყოველგვარი შინაარსისგან დაცლილია. აქედან გამომდინარე, უკანასკნელ წლებში ქართველი პოლიტიკოსები ნდობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემების წინაშე დადგნენ. არასაკმარისი და ზემოდან მართული განახლებების შედეგად პოლიტიკური ლიდერების დადებითი რეიტინგი დაეცა, უარყოფითი კი - გაიზარდა. აღნიშნული ფენომენი კარგად ჩანს სოციოლოგიურ გამოკითხვებში, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში პოლიტიკური ლიდერების მიმართ ნდობა კრიტიკულადაა შემცირებული.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის - IRI გამოკითხვების მიხედვით, ქვეყანაში პოლიტიკოსებისადმი კეთილგანწყობა წლიდან წლამდე მცირდება, პარალელურად კი იზრდება მათით უკმაყოფილება.



მონაცემები აღებული საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევებიდან.

დიაგრამა 5.1. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ 2017 წლიდან დღემდე ჩატარებულ 7 სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ასახავს. რეიტინგის შედგენისას სხვადასხვა კვლევის დროს რესპოდენტებს 19-დან 22-მდე პოლიტიკოსი დაუსახელეს, რომლებიც სამთავრობო და ოპოზიციური პარტიების ლიდერებს წარმოადგენენ, მათგან გამოკითხულთა 40%-ზე მაღალი დადებითი შეფასება მხოლოდ რამდენიმემ დაიმსახურა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ პოლიტიკური ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებს არ მოსწონთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოს პოლიტიკაში ისეთი პოლიტიკური ლიდერების დეფიციტია, რომლებიც მოქალაქეების ფართო წრისთვის იქნებიან მისაღები. აღნიშნული ტენდენცია პოლიტიკოსების უარყოფით რეიტინგებზე დაკვირვებისას კიდევ უფრო აშკარა ხდება.

დიაგრამა 5.2. ასახავს, თუ რამდენად ძლიერია მოქალაქეებში არსებული პოლიტიკოსების მიმართ უკმაყოფილება. პოლიტიკოსები, რომლებიც მოსახლეობის ფართო მასებში ნეგატიურ დამოკიდებულებებს იწვევენ, საკუთარ პარტიებში პოლიტიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავენ, არაპოპულარული პოლიტიკოსებით დაკომპლექტებული პარტიები კი ასევე ნდობასთან დაკავშირებული სერიოზული კრიზისის წინაშე დგანან. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის უკანასნკელი სოციოლოგიური გამოითხვის მიხედვით დასახელებულ 22 პოლიტიკურ ლიდერს შორის 60%-ზე მაღალი უარყოფითი რეიტინგი 11 ლიდერს აქვს, მათ შორის არიან ქართული ოცნების თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, ლეიბორისტული პარტიის, სტრატეგია აღმაშენებელი/მესამე ძალის, გირჩი - მეტი თავისუფლების, გირჩის, ევროპული საქართველოს, პარტია მოქალაქეების, ლელოს, ერთიანი საქართველოს ლიდერები. ქვეყნის პრემიერ მინისტრისა და ქართული ოცნების პოლიტიკური მდივნის ირაკლი ღარიბიშვილის მიმართ კი გამოკითხულთა 54% არაკეთილგანწყობილია. მსგავსი უარყოფითი რეიტინგი აქვს მთავარი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე ნიკანორ მელიასაც.



მონაცემები აღებული საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევებიდან.

არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ როგორც ოპოზიციურ, ისე სამთავრობი პოლიტიკოსთა და პოლიტიკურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ მოსახლეობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. პოლიტიკურ ველზე მსგავსი სუბიექტების არსებობა კი პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტით აიხსნება.

საქართველოს პარტიულ სისტემაში არსებობენ პოლიტიკური პარტიები, რომელთა მიმართ მოსახლეობის ნდობა უკიდურესადაა შემცირებული და ამ პარტიებს აკომპლექტებენ პოლიტიკური ლიდერები, რომელთა ნეგატიური რეიტინგიც მნიშვნელოვნად აღემატება პოზიტიურს. დიაგრამა 5.3 ასახავს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერთა პერსონალურ რეიტინგებს 2021 წლის ივნისის მდგომარეობით. მონაცემების მიხედვით, დადებითი პერსონალური რეიტინგი მხოლოდ ორ ლიდერს, კახა კალაძესა და გიორგი გახარიას აქვს. დანარჩენი პოლიტიკოსები, როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური პარტიებიდან, საზოგადობის ფართო მასების მიერ უარყოფითად ფასდება.



წყარო: საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი. Public opinion survey residents of Georgia, June 2021, Center for insights in survey research, A project of the International Republican Institute

პოლიტიკოსთა მიმართ ნდობის შემცირება პირდაპირ აისახება პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერაზე. ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია პოლიტიკურ ველზე ოპერირებენ და არსებობის მანძილზე მინიმუმ 2 ყრილობა მაინც გამართეს, საკუთარი მხარდამჭერების გაზრდას ვერ ახერხებენ. დიაგრამა 5.4 უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში გამართულ 4 არჩევნებში მთავარი პარტიების მიერ მიღებულ შედეგებს ასახავს. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობა ევროპულმა საქართველომ, რომელმაც ხმების 10.4% ენმ-ს შემცირებული მხარდაჭერის ფონზე მოახერხა, თუმცა, შემდგომ წლებში ევროპული საქართველოს მხარდაჭერა შემცირდა, ენმ-ის კი გაიზარდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მხარდამჭერების ძირითადი ნაწილის „დაბრუნება" შეძლო და ევროპული საქართველოს საარჩევნო შედეგებიც გაუარესდა. ჯამში, ძირითადი პარტიების საარჩევნო შედეგებზე დაკვირვება გვაჩვენებს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პარტიების მიმართ

მხარდაჭერა მცირდება ან, ზოგ შემთხვევაში, უმნიშვნელოდ იზრდება, რაც ზოგადი ტენდენციის შესაცვლელად საკმარისი არ არის. აღსანიშნავია, რომ დიაგრამა 5.4 არ ასახავს იმ პოლიტიკური პარტიების შედეგებს, რომლებიც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდნენ, რადგან ამ შემთხვევაში მსგავსი პარტიების ელექტორალური შედეგების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები არ არსებობს.



მონაცემები აღებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან.

განმარტება 1: 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ქართული ოცნების კანდიდატს ფორმალურად მონაწილეობა არ მიუღია, სანაცვლოდ მმართველმა პარტიამ სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა მხარი, რომელმაც ხმების 38.6%. აღნიშნული მონაცემი დიაგრამა 1.4-ში გათვალისწინებული არ არის.

განმარტება 2: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტია გირჩი დატოვა ლიდერმა ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ და ახალი პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება“ დააფუძნა, დიაგრამა 1.4 2021 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტია გირჩის მიერ მიღებული მხარდაჭერაა ასახული.

ზემოთმოყვანილი ყველა მონაცემი აჩვენებს, რომ პოლიტიკური ლიდერებისა და პარტიების მიმართ მოქალაქეების ნდობა მცირდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში არცერთ ძირითად პარტიაში მნიშვნელოვანი განახლება არ დაფიქსირებულა. პარტიებში ლიდერების პოზიციებს ისევ ძველი, და ხშირ შემთხვევაში, არაპოპულარული პოლიტიკოსები იკავებენ, რომლებსაც არავისგან მიუღიათ განახლებული ნდობის მანდატი. ამ რეალობას კარგად აჩვენებს ქართულ მედიაზე დაკვირვებაც, რომლის ეთერებიც მუდმივად ისეთ პოლიტიკოსებს ეთმობათ, რომლებიც საკუთარ სტატუსს მხოლოდ შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის წყალობით ინარჩუნებენ. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი პოლიტიკოსებითა და ლიდერებით მედია სივრცის გადატვირთვა შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ასევე აღსანიშნავია, რომ მედიას აქვს პროცესებზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტებიც, საკუთარი ტრიბუნის გამოყენებით, მას ახალი პოლიტიკოსების წინ წამოწევა და შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების მიმართულებით დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართულ მედიაში ასეთი შემთხვევები იშვიათად ფიქსირდება.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საქართველოში პოლიტიკურ პარტიათა აბსოლუტურ უმრავლესობაში საჯარო თანამდებობებისთვის კანდიდატთა ნომინაციის პროცესს ოფიციალურად ლიდერთა მცირე ჯგუფი, ხშირ შემთხვევაში პარტიის პოლიტიკური საბჭო აკონტროლებს. ხშირია იმაზე საუბრები, რომ აღნიშნული საკითხი, არაფორმალურად, კიდევ უფრო ვიწრო წრეში წყდება (აღნიშნული საკითხზე მეტი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ გაეცნოთ ჭავჭავაძის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევას: „შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიზეზები საქართველოში.“). რაც შეეხება პარტიის ლიდერთა რგოლის დაკომპლექტებას, რაც თავმჯდომარისა და პოლიტსაბჭოს წევრების არჩევას გულისხმობს, ნომინაციის წესი ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია. პარტიის ყრილობას კი, რომელიც პარტიებში უმაღლესი და ყველაზე დემოკრატიული ორგანო უნდა იყოს, უმეტესწილად უკვე მისთვის წარდგენილი კანდიდატების ღია კენჭისყრით დამტკიცება უწევს. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში არ არსებობს ისეთი ქმედითი მექანიზმები, რომელიც რეკრუტირების პროცესზე რიგით წევრებს გავლენის მოხდენის, ასევე მოქმედი პარტიული ელიტების რეალურად დემოკრატიული გზით შეცვლის საშუალებას მისცემდა. პარტიებში ელიტების ჩანაცვლება სრულად მონოპოლიზებულია ლიდერთა მცირე ჯგუფის მიერ.

მსგავსი არაკონკურენტული და არათავისუფალი გარემო პოლიტიკურ

პარტიებში ძირეული განახლების რესურსს სპობს. ამდენად, პარტიებში კვლავაც მაღალია ძველი და არაპოპულარული ლიდერების გავლენა. მსგავს პარტიებში კი ფასადურად გამოჩენილი ახალი პოლიტიკოსებიც, როგორც წესი, სწრაფად კარგავენ რეიტინგებს.

პოლიტიკოსების უარყოფითი რეიტინგები მნიშვნელოვანწილად შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის ერთ-ერთი შედეგია და განპირობებულია ქართული პოლიტიკური ელიტების ცვლილების პრობლემატურობით. პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობაში თავისუფალი და კონკურენტული შიდაპარტიული გარემოს არსებობა გადაუწყვეტელ საკითხს წარმოადგენს. ახალი ელიტების გაჩენას ძველი/მოქმედი ლიდერები წინ ეღობებიან, რასაც მინიმუმამდე დაყავს პოლიტიკურ სცენაზე რეალური მხარდაჭერის მქონე პოლიტიკოსების გამოჩენის შესაძლებლობა/ალბათობა.

დასკვნა

კვლევამ „შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის შედეგები საქართველოში“ დაადგინა, რომ აღნიშნული პრობლემა მრავალ, ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორებზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. განუვითარებელი შიდაპარტიული დემოკრატია ისეთი პრობლემების გამომწვევია, როგორიცაა: პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის შემცირება, გაზრდილი პოლიტიკური პოლარიზაცია, პოლიტიკური ლიდერების მიმართ გაზრდილი უნდობლობა და პოლიტიკური კალსის შიგნით თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული ბუნებრივი განახლების არარსებობა.

შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტი ქართულ პოლიტიკაში პარტიების მიმართ შემცირებული ნდობის ერთ-ერთი ძირითადი გამომწვევი მიზეზია. სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებენ, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ მოსახლეობის ნდობა მცირდება, სტაბილურად ზრდადია გადაუწყვეტელი ამომრჩევლის რაოდენობა, პარალელურად კი ასევე იზრდება უკმაყოფილება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი, წესით, ნოყიერ ნიადაგს უნდა ქმნიდეს ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერის გასაზრდელად, თუმცა, საარჩევნო შედეგებზე დაკვირვება სხვა სურათს იძლევა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამომრჩევლსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ზრდადი გაუცხოებაა , რაც შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის შედეგია. პარტიებში

დანერგილი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ექსკლუზიურობა რიგით ამომრჩეველს პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებისთვის სერიოზულ ბარიერებს უქმნის, რაც პარტიების მიმართ ამომრჩევლის უნდობლობასა და ოპოზიციური პარტიებისთვის დამატებით უარყოფით საარჩევნო შედეგებში აისახება. სახელისუფლებო პარტია კი მის ხელთ არსებული მრავალი ბერკეტების გამოყენებით, პარტიათა მიმართ უნდობლობის მიუხედავად, მისთვის სასურველი შედეგების დაფიქსირებას მაინც ახერხებს.

პარტიულ პოლიტიკაში პარტიათა რიგითი წევრებისა და მხარდამჭერების პრაქტიკულად ნულოვანი გავლენა, გადაწყვეტილებების მიღების ექსკლუზიურობა, გაუმჭვირვალობა, არაკონკურენტუნარიანი და არათავისუფალი გარემო პარტიების სადავეებთან იმ პოლიტიკურ ლიდერებს ინარჩუნებს, რომელთა რეიტინგი მოქალაქეებში ასევე უკიდურესადაა შემცირებული. მსგავსი არაპოპულარული ლიდერები კი საკუთარი პოზიციების შენარჩუნებას სწორედ შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის წყალობით ახერხებენ, რადგანაც დემოკრატიული პარტიებისთვის შეუთავსებელია ისეთი ლიდერები, რომელთა მიმართ მოქალაქეებში ნეგატიური დამოკიდებულება ბევრად აღემატება პოზიტიურს. აღნიშნული ფაქტორი ასევე უარყოფითად აისახება პარტიათა საარჩევნო შედეგებსა და პარტიების მიმართ ამომრჩევლის ზოგად დამოკიდებულებებზე. უარყოფითი რეიტინგების მქონე ლიდერები საკუთარ პოლიტიკურ პარტიებს ცუდ სამსახურს უწევენ.

აღნიშნული პრობლემა ასევე კავშირშია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პოლარიზაციასთან. საქართველოს შემთხვევაში პოლარიზაციის მთავარი მამოძრავებელი კონკრეტული პოლიტიკოსებისა და პარტიების მიმართ დაგროვილი უარყოფითი დამოკიდებულებებია, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე ნეგატიური კამპანიის საწარმოებლად აქტიურად იყენებს. შიდაპარტიული დემოკრატიის პირობებში, ამომრჩევლის დიდი ნაწილისთვის არაპოპულარული და მიუღებელი ლიდერები, როგორც წესი, ეტაპობრივად ჩამოშორდებიან ხოლმე პოლიტიკას (თუ ისინი არ მოიპოვებენ ნდობის განახლებულ მანდატს, ღია და გამჭვირვალე შიდაპოლიტიკური პროცესის შედეგად, რაც პოლიტიკურ პარტიებს დაკარგული ნდობის ხელახლა მოპოვებასა და საკუთარი რეიტინგების გაზრდას უადვილებს. მოვლენათა მსგავსი განვითარება, საქართველოში ოპონენტების დისკრედიტაციაზე აგებულ კამპანიას მნიშვნელოვანწილად გამოაცლიდა ნიადაგს და პოლარიზაციის შემცირებას შეუწყობდა ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა:

რობაქიძე ნ, პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია - რა საფრთხის წინაშე დგას დემოკრატიული პროცესი საქართველოში?, მარტი 2019, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N 19;

უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია: გავლენები ქართულ დემოკრატიაზე, მარტი 2021, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ექსპერტთა კომენტარი, გამოცემა N 16;

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

Buell J. & De Luka T., Liars! Cheaters! Evildoers!: Demonization and the End of Civil Debate in American Politics, 2005, New York, NYU Press;

Caroteres, T. & O'donohue, Ed. Democracies divided: The global challenge of Political polarization, 2019, Washington DC, Brookings Institution Press;

Coller, X, et al, Recruitment and selection, January 2018, Researchgate;

Cross W.P. & Katz R.S. The Challenges of Intra-party Democracy, 2013, Oxford, Oxford University Press;

Gauja A. The Politics of Party Policy, 2013, London, Palgrave Macmillan;

Gherasimov C., Political Elite Renewal in Georgia, Moldova and Ukraine, 2019, London, Chatham House Publication;

Gilbreath, D. & Turmanidze, K, Are Georgian voters polarized?, 2020, Tbilisi, Caucasus research resource center;

Hazan R. & Rahat G. Democracy Within Parties: Candidate Selection Methods and Their Political Consequences, 2010, Oxford, Oxford University Press;

Ignazzi P. The Four Knights of Intra-party Democracy: A Rescue for Party Delegitimation, 2018, Journal of Party Politics, 1(12), Sage Publications;

Katz R.S. The Problem of Candidate Selection and Models of Party Democracy, 2001, Journal of Party Politics, 7(3), Sage Publications;

Kubin, E. & Von Sikorski, E. The role of (social) media in political polarization: a systematic review, 2021, Annals of the International Communication Association, Volume 45, Issue 3;

McCoy J.L., Rahman T., Somer H. Polarization and the Global Crisis of Democracy: Common Patterns, Dynamics, and Pernicious Consequences for Democratic Polities, 2018, Journal of American Behavioral Scientists, 62 (1), Sage Publications;

McLaughlin, B., Commitment to the team: Perceived conflict and political polarization, 2018, Journal of Media Psychology, 30(1);

Mersel Y. The Dissolution of Political Parties: The Problem of Internal Democracy, 2006, International Journal of Constitutional Law 4(1);

Michels, R. Political parties: A sociological study of the oligarchical tendencies of modern democracy, 2001, Batoche Books;

Mueller W.C. & Ennser-Jedenastik L. Intra-party Democracy, Political Performance and the Survival of Party Leaders: Austria, 1945-2011, 2015, Journal of Party Politics, Vol 21(6), Sage Publications;

Mueller W.C. & Narud H.M. Party Governance and Party Democracy, 2013, New York City, Springer Publishing;

Norris, P, Building political parties: Reforming legal regulations and internal rules, 2004, Report commissioned by International IDEA

Polborn, M. & Snyder J. M, Intra-party disagreements and inter-party polarization, 2016, January 13;

Public Attitudes in Georgia, Results of Telephone Survey, July 2021, National Democratic Institute (NDI);

Public Opinion Survey: Residents of Georgia, February 2021, International Republican Institute (IRI);

Public Opinion Survey: Residents of Georgia, June 2021, International Republican Institute (IRI);

Scarrow S. Political Parties and Democracy in Theoretical and Practical Perspectives: Implementing Intra-Party Democracy, 2005, Washington, D.C. National Democratic Institute;

Scarrow, S, Political parties and democracy in theoretical and practical perspectives: Implementing intra-party democracy, 2005, Washington, NDI;

Silagadze, G. & Gozalishvili, N., Extreme Political Polarization as a Threat to Democratization, 2019, Tbilisi, Democracy Reporting International (DRI);

Smolnik F., Sarjveladze M., , Tadumadze G., Deadlock in Georgia: political crisis and regional changes need an EU response, 2021, Berlin, Stiftung Wissenschaft und Politik -SWP- Deutsches Institut für Internationale Politik und Sicherheit;

The partisan divide on political values grows even wider, 2017, Washington, Pew Research Center;

Ware A. The Logic of Party Democracy, 1979, London, Macmillan Press LTD;

გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტები:

ODIHR-ის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები, მეორე ტური 2021 წლის 30 ოქტომბერი, მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ;

European Union and United Nations Development Program report on post-election media monitoring, 1 February - 31 March, 2021;

Office for Democratic Institutions and Human Rights, Georgia Parliamentary Elections OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report, 2008;

Office for Democratic Institutions and Human Rights, Georgia Parliamentary Elections OSCE/ODIHR Election Observation Mission Final Report, 2012;

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები:

https://www.osce.org/files/f/documents/8/c/502704.pdf **(8.02.2022);**

https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2020 **(8.02.2022);**

https://www.hrw.org/world-report/2022/country-chapters/georgia **(8.02.2022);**

https://civil.ge/archives/341385 **(9.02.2022);**

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/news/ruling-party-in-georgia-dumps-charles-michels-agreement/ (9.02.2022)

https://carnegieeurope.eu/2021/12/08/divided-georgia-hostage-to-polarization-pub-85937 (9.02.2022)

https://www.research-collection.ethz.ch/bitstream/handle/20.500.11850/507160/CAD123.pdf?sequence=3&isAllowed=y (10.02.2022);

https://oc-media.org/facebook-takes-down-disinformation-networks-linked-to-both-georgias-ruling-party-and-opposition/ (11.02.2022);

https://georgia.un.org/index.php/en/125625-post-election-media-monitoring-georgian-media-stays-pluralistic-and-polarized (12.02.2022);

https://tabula.ge/ge/news/641346-shetankhmeba-saarchevno-sistemazera-ceria (13.02.2022);

https://eeas.europa.eu/sites/default/files/mediacia_samomavlo_gza_sakartvelostvis.pdf (15.02.2022);